№ 38

21 სექტემბერი

# ივერია

ფასი ერთი შაური

1909 წ.

სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი გამოდის ორშაბათობით

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Гановская ул. д. № 6. К. П. Туманову.

გაზეთი „ИВЕРИЯ“ გამოდის ორშაბათობით, ცალკე № ღირს უველგან ერთი შაური. ნომერში მოთავსებული იქნება კვირა დღის ამბები და დეპეშები, რომელიც სხვა გაზეთებში სამშაბათობით გამოდის.

**წლის ფასი 3 მან. წლის დალევამდი 2 მან.**

სარედაქციო ნაწილის გამგე **კ. პ. თუმანიშვილი.**

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნ. წინამძღოლის თან. აღმ.

**სთხოვს გუბერნიის თავ.-აზნ. მობრძანდენ**

კახეთი მეღვინეთა ამხანაგობა

## ს ა მ ე რ ო

ამხანაგობის წევრთა ვენახების ღვინო ბოთლი 25 კაპ. და მეტიც.

მუდმივ მუშტრებს ღვინო დაკლებულ ფასებში ეძლევათ

**მაღაზია იმყოფება ერევნის მოედანზე, თამამშევის ქარვასლაში**

ტფილისის საიმპერატორო სამუსიკო სასწავლებლის

**ფორტეპიანოს ამწყობი**

## გ. ლ. ხარიშჩაროვი

ვორონცოვის ძეგლთან, რაზიეზჟაია ქუჩა № 11.

**მიიღება შესაკეთებლად** ყოველგვარი როიალი და პიანინო პასუხისგებლობით **იყიდება** როიალიდან და პიანინოდან მტვერის **გამოსაბერავი.** ფასი 3 მანეთი.

## გაიღო „კაფე ლონდონი“

გოლოვინის ქუჩა, მანთაშევის სახლი № 6 „სობრანიეს“ ქვეშ. მუდამ იყიდება: ხილეულის და მინერალური წყლები საუკეთესოდ მოწყობილ ქარხნის

## მ. ე. ლაღიძის და კომპ.

აგრეთვე ყავა, ჩაი, შოკოლადი, მაწონი, მაროჟნი, ღუდი ადგილობრივი და შემოტანილი, სხვა და სხვა ცივი ზაკუსკა, ბუტერბროდი, ცხელი პიროჟკები და პიროჟნები. სისუფთავე და კარგი სამსახური. კაფესთან ბაღია წყლის შარავანდით.

**პატივისცემით ნეფარიძე და ამხ.**







## კაფე პარიზი!!

ტფ. თავად-აზნაურობის თეატრის ეზოში (Дворцовая ул,)

ჩაი, რძე, ყავა, შოკოლადი, კაკაო პიროჟკები, ბუტერბორტები (15 კაპ. და მეტიც)

### ხაჭაპური

**ცივი და ცხელი კერძები 25 კ. და მეტი**

სასმელი წყლები

**ლუდი, სადილი**

**ფასები ხელმისაწდომია**

სისუფთავე და კარგი სამსახური




ვკისრულობ სოფლის და ქალაქის მამულების

## დაგირავებას და გადაგირავებას

ადრესი: г. Тифлисъ ул. Бѣлинскаго, бывш. Кирпичная д. № 19. кв. кн. Херхеулидзе.

ნახვა შეიძლება ყოველ დღე, დილის 8 1/2—10 საათამდის—საღამოობით 5—7 საათამდის. შეიძლება წერილობითაც.

**ქართული ხალხური სიმღერები და**

## ლ ე ქ ს ე ბ ი

გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. ლექსები შეკრებილი და ნოტებზე დაწყობილი ი. კარგარეთელის მიერ. წიგნის ფ. 50 კ.

## აქციზის მომატების გამო

**ყველა თამბაქოს ნაწარმოებზე**

**50 პროცენტით და 50-ზე მეტით**

და თამბაქოს ფ:მე რების გამო

## ბოზარჯიანცის

ფაბრიკამ დევიზათ გაიხადა: როგორც წინათ, ეხლაც მაღალი ღირსების პაპიროსები გამოუშვას და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს.

**СИМПАТІЯ № 8** 10 шт. 6 к. **НАРОДНЫЯ ЭКОНОМІЯ** 10 шт. 4 к.

ასეთი უმნიშვნელო ფასის მომატებით ფაბრიკასაც საშუალება ეძლევა გამოუშვას მუდამ **მაღალ ღირსების პაპიროსები** და მომავალში ეცდება მათ გაუმჯობესებას, რომ ამით გაამართლოს და გაამაგროს ფირმამ თავისი დამსახურებული **ნდობა** 50 წლის განმავლობაში ჩვენი ფაბრიკის პაპიროსების მყიდველთა თვალში.

**შენიშვნა:** ამ ცნობით (და არა რეკლამით) ბოზარჯიანცის ფაბრიკას სურს გააცნოს პატივცემულ საზოგადოებას საქმის ახალ, ნამდვილ მდგომარეობას.

**970 სტ. აქცზ. უსტ. ძალით, ზემოაღნიშნულ პაპიროსების მეტ ფასში გაყიდვა, რაც მათ აწერია აკრძალულია.** (10 – 3)

კახეთის ნამდვილი

ღ ვ ი ნ ო

ტფილისი, ტელეფონი № 31



## „ძმობა“

**კბილის ექიმი**

## ს. ა. ცეიტლინი

კბილის სნეულებანი. **ხელოვნური კბილები.** ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილის 9 საათ. საღამოს 7 საათ. მიხეილის პროსპექტი ს. № 22 (სემიონოვის ქ. კუთხეზე № 3). შესავალი სემიონოვის ქუჩიდან. 0—1

## ახალი ამბები და დეპეშები

✦ ეკატერინოდარში რაღაც ახალი გადამდები ავადმყოფობა გაჩნდა. ავად ხდებიან უფრო ქალები: ჯერ ციებას გრძნობენ, შემდეგ გული ერევათ, იცინიან და ტირიან. ავათმყოფობა დიდ ხანს არ გრძელდება.

✦ ამბობენ გზათა მინისტრი თანამდებობას თავს ანებებსო, მის მოადგილეთ ასახელებენ ნემეშაევს.

✦ სინოდმა სათათბიროს ყველა გადაწყვეტილება სამღვდელოებისთვის ჯამაგირის მომატების შესახებ უარჰყო.

✦ **ლონდონი.** ინდოეთიდან მომავალი გემი „ვარატ“ ზღვაში დაიწვა. 300 კაცზე მეტი დაიღუპა.

✦ სოფ. კუხში ერთ ქალის დასაფლავების დროს მიცვალებულის ნათესავმა ბიქტორ ბალანჩივაძემ მოითხოვა კუბო ფხრებზე აიღეთო ამაზედ სხვებმა უარი განაცხადეს. გაბრაზებულ ბიქტორს დანა უძვრია და სპირიდონ ბალანჩივაძე მძიმედ დაუჭრია. სპირიდონს შინიდან რევოლვერი მოუტანია და უნდოდა თურმე ხალხისთვის ესროლა, მაგრამ სხვებმა წაართვეს რევოლვერი და შინ წაიყვანეს.

✦ ტუმენ-ომსკის რკინის გზაზედ, რომელიც ახლა შენდება სამინისტროს განკარგულებით სამსახურში პოლონელებს არ მიიღებენ. საქმესაც არ აძლევენ არც პოლონელს და არც ებრაელს.

✦ პოლიციამ დაიჭირა საგენერალგუბერნატორდან გადასახლებული და თავის ნებით ტფილისში დაბრუნებული სილოვან გოგიბერია. დაიჭირეს აგრეთვე გადასახლებული სტეფანე ამბარდანოვი.

✦ გამოვიდა ჟურნ. „ერის“ მეორე ნომერი, რომელშიაც მოთავსებულია ი. ჯავახიშვილის წერილის გაგრძელება, ერის უფლება—Batou-ის. საგულისხმო წერილი—საერთო ხელშეკრულება გლეხებსა და მემამულეებს შორის,—შინაური მიმოხილვა, მოთხრობები და ლექსები ი. ელეფთერიძის, ვაჟა-ფშაველასი, ია ეკალაძის და სხ.

✦ გამოვიდა „ნაკადული“ № 9 სექტემბრისა მოზრდილთათვის. № 17 სექტემბრისა მცირე წლოვანთათვის. ამაოომი—ლექსი ვაჟასი, როგორ გაჩნდენ ბუები ქვეყანაზედ? ვაჟასი, ბებია კაკალი ა. მაჩაბლისა, ფუტკარი და მისი ცხოვრება აპ. წულაძისა, მგლის ცრემლები—ლექსი ბაჩანასი, ლეგენდა ელიზა ოჟესკოსი (თარგმანი) ლ. ელიავასი საშინელი შემთხვევა მაჩტეტისა (თარგმანი) თ. ბაქრაძისა კარტოფილი (თარგმანი) განდეგილისა, სინათლე და მისი მნიშვნელობა ი. მოსეშვილისა, მითოლოგია ა. მიქაბერიძისა, ანდაზები, გამოცანა, რებუსი. მცირე წლოვანთათვის: მაღაღურის ბუდე—აკაკისა, მათია და ნიკო ნინო ნაკაშიძისა, ყვავი და კურდღლები ლ. ელიავასი, ვირის თავგადასავალი ან. ამილახვრისა, ბუმბული (ვაგნერიდან), ამოცანა და რებუსი.

### ა დ ა მ ი ა ნ ი

(კოლცოვიდამ)

ყველა ქმნილება უფლისა ჩვენის
მეტად კარგია და მშვენიერი!
მაგრამ უმშვენეს ადამიანის
არა რა არის ამ ქვეყნიერი!

—

მას ხან სძულს თავი, ხან ძვირად უღ-
ხან შეიყვარებს, ხან შეიძულებს |ირს;
და ერთი წამის სიცოცხლისათვის
ის იტანჯება მთელ საუკუნეს.

—

რა მისცემს სურვილს თავისუფლებას
სისხლის ნიაღვრით მორწყავს მიწასა;
თუ ნებას მისცემს ხელსა გრძნობასა
მის ქვეშ ადუღებს თვით ოკეანსა.

—

მაგრამ იცვლება მისწრაფებანი.
და გაბრწყინდება ნათლით გონება,—
და ყოველივეს დაჩრდილავს ქვეყნად
ადამიანის მშვენიერება.

**დაუცხრომელი**

**თბილისი, 21 სექტემბერი.**

ეროვნული ბრძოლა კანონიერების კალაპოტში ჩაყენებული, აი ის გზა, რომელსაც უნდა დაადგეს ყოველი მცირე, სუსტი და დაჩაგრული ეროვნება, რადგანაც მხოლოდ ამ გზაზედ დადგომით შეუძლია მას გაბატონებულ ეროვნების იერიშს გაუძლოს და თავისი საკუთარი ეროვნული კულტურა გააძლიეროს...

ეროვნულ დაჩაგვრას ყველა როდი გრძნობს. ზოგიერთები ამბობენ, ეს დაჩაგვრა წარმავალი, შემთხვევითი რამე არისო,—შემოვა სახელმწიფოში ახალი წესწყობილება და ეროვნული დაჩაგვრა თავსთავად მოისპობაო,—ამიტომ „ისინი არსებულ წესწყობილებასთან საბრძოლველად იწვევენ ხალხს. ესენი უარჰყოფენ ეროვნულ ბრძოლის საჭიროებას და ხალხს პოლიტიკურ ბრძოლას ურჩევენ.

ზოგიერთები კიდევ სრულებით უარჰყოფენ ეროვნულ დაჩაგვრის არსებობას და აცხადებენ, რომ ქართველისთვის სულ ერთია, სადაც უნდა იშოვნოს მან თავისი ლუკმა პური, სულ ერთია მისთვის აგრეთვე ისიც, მის მიწა წყალზე ვინ იქმნება გაბატონებული,—საერთაშორისო სოლიდარობის იდეა მათ ნებას არ აძლევთ, ეროვნული იდეა ახსენონ—მცირე ერთა ენისა და კულტურის შერჩენა მათ ამ საერთაშორისო სოლიდარობის იდეისათვის მავნებელიც ჰგონიათ.

ამათთან პოლემიკა საჭირო არ არის,—ვინც ვერა გრძნობს თავის თავზედ ეროვნულ დაჩაგვრას, ამ დაჩაგვრის სიმწარეს ვერასოდეს ვერ გაიგებს ისევე, როგორც ვერ გაიგებს შიმშილის სიმწარეს ის ადამიანი, რომელსაც შიმშილი თვითონ არ გამოუცდია. ეროვნული დაჩაგვრა შეიძლება გაიგოს მხოლოდ იმან, ვინც კულტურულად განვითარებულია,— უკულტურო ადამიანისთვის სულ ერთია, სასწავლებელში მისი დედა ენა თუ სხვა რომელიმე უცხო ენა იქმნება შემოღებული, სულ ერთია იმიტომ, რომ მან სასწავლებლის კარებიც არ იცის. უკულტურო, განუვითარებელ ადამიანისთვის სულ ერთია, აყვავდება თუ არა ადგილობრივ მწერლობა, რადგანაც იგი წიგნს არ კითხულობს...

რამდენად ადამიანი უფრო განვითარებული და განათლებულია, იმდენად უფრო მწვავე ხდება მისთვის ეროვნულ თანასწორობის და ეროვნულ დაჩაგვრის საკითხი. ამიტომ ინტელიგენცია სხვებზედ მეტად არის ხოლმე გატაცებული ეროვნულ ბრძოლით, ამიტომ შეძლებული მემამულეები ხელმოკლე გლეხობაზედ უფრო მეტად გრძნობენ ეროვნულ დაჩაგვრას, ამიტომ შეძლებული ბურჟუაზია უმიწაწყლო პროლეტარიატზე უფრო მიზდევს ეროვნულ იდეალების განხორციელებას.

ინტელიგენცია, მემამულეები და ბურჟუაზია გლეხობასთან და პროლეტარიატთან შედარებით იმიტომ არიან ეროვნულ იდეალებით უფრო გატაცებული, ხომ შეძლება მათ ხელს უწყობს და ისინი თავიანთ განვითარებით, თავიანთ კულტურით, თავიანთ კულტურულ მოთხოვნილებებით გლეხობაზედ მაღლა სდგა-

ნან. პროლეტ., ხელმოკლე გლეხობა გონებრივად და კულტურულად ჩამორჩენილნი არიან და ამიტომ მათ არ შეუძლიათ იგრძნონ ის შევიწროვება, რომელიც გონებრივ და კულტურულ ცხოვრებას ეხება, მათ არ შეუძლიათ იგრძნონ ეროვნულ შევიწროვების სიმწვავე.

მაგრამ რაკი თვითონ ვერ გრძნობენ, ეს სიმწვავე სხვამაც არ უნდა იგრძნოს? მე რომ არ მშიოდეს, მშიერ კაცსაც უნდა ავუკრძალო ლუკმა პურზედ ოცნება? ჩვენ არ გვიკვირს, როდესაც გაუნათლებელი ვინმე ადამიანი ეროვნულ ბრძოლას უარჰყოფს, არ გვიკვირს, რადგანაც იგი ეროვნულ დაჩაგვრას, როგორც გაუნათლებელი, განუვითარებელი ადამიანი, ვერა გრძნობს, ჩვენ გვწყინს მხოლოდ, რომ იგი გაუნათლებელი და განუვითარებელია...

განუვითარებელ ადამიანს და განვითარებულს თანასწორი მოთხოვნილება არა აქვს, განუვითარებელს თუ უბრალო ზრუნა-დუდუკი ართობს, განვითარებულს ოპერა და ორკესტრი იზიდავს, განუვითარებელს თუ ყარამანიანი ახარებს, განათლებული სამეცნიერო წიგნებს ეტანება, განუვითარებელი თუ უბრალო მიწურშიაც თავსდება, განვითარებული ევროპიულად მოწყობილ სახლებს მოითხოვს. ასეთ პირობებში განუვითარებელმა, უკულტურო ადამიანმა განვითარებულ და კულტუროსან ადამიანისაგან უნდა მოითხოვოს მის სურვილებზე ხელის აღება და უფრო დაბალ მოთხოვნილებათა შეთვისება, თუ თვით უკულტურო ადამიანმა კულტურა უნდა შეითვისოს და ამით კულტუროსან ადამიანის მოთხოვნილება მიიღოს? განათლებულმა ადამიანმა უნდა დაივიწყოს ოპერა, დააგდოს სამეცნიერო წიგნები და ევროპიულად მოწყობილი სახლები მხოლოდ იმიტომ, რომ მის უკულტურო მოძმეს ყოველივე ეს არც ახარებს, არც ეხალისება, თუ, პირიქით, უკულტურო, განუვითარებელი ადამიანი უნდა გონებრივად ამაღლდეს, ყარამანიანის მაგიერად სამეცნიერო წიგნებს მოჰკიდოს ხელი, მიწური ქვითკირის სახლად შეიცვალოს, საუკეთესო მუსიკით დაიტკბოს სმენა?

ამნაირად დაყენებულ კითხვაზე ორ სხვა და სხვა პასუხის მიცემა არ შეიძლება.

ასევე არ უნდა შეიძლებოდეს ორ სხვა და სხვა პასუხის მოცემა მაშინაც, როცა ვიკითხავთ, უნდა თუ არა ჩაებას ეროვნულ მისწრაფებაში ერის უკანასკნელი გაუნათლებელი წევრიც კი, ეროვნულ დაჩაგვრის მოსპობა ერის ყოველმა შვილმა მიზნად უნდა დაისახოს თუ არა?..

მართალია, დღეს განუვითარებელი ნაწილი გლეხობისა და მუშებისა ეროვნულ შევიწროვების სიმწვავეს ვერა გრძნობს, მაგრამ ამის გამო ერის უფრო განვითარებულმა ნაწილმაც არ უნდა იგრძნოს, განა, ამ დაჩაგვრის საშინელი სიმწვავე? ინტელიგენცია, განათლებული მემამულე და ბურჟუა თვით განათლებული გლეხი და მუშა ერის გაუნათლებელ, განუვითარებელ ნაწილამდის უნდა ჩამოქვეითდეს, თუ ამ განუვითარებელმა ნაწილმა უნდა შეითვისოს განათლება, ინტელიგენტობა, კულტურა?

უნდა შეითვისოს ყოველივე ეს და ამით ეროვნული შევიწროვება იგრძნოს?

ეროვნული მიმართულება აუცილებელია ყოველ მცირე, დაჩაგრულ ეროვნების საზოგადო ცხოვრებაში,—ამ მიმართულებას დასდგომია ყოველი დაჩაგრული ერი იმ წამსვე, როდესაც განათლებას მისთვის თვალი აუხელია,—ეს მიმართულება ძვალსა და რბილში გაუჯდება ქართველ ერსაც, როდესაც მის თვალებს ჩამოშორდება დროებითი გონებრივი სიბრმავე და როცა წარსულში დიდი ხნის კულტურის მქონე ქართველი ერი პოლიტიკურ სიძაბუნეს და სხვისი ფეხის ხმის აყოლას ჩამოშორდება და თავის მდგომარეობას ჩაუკვირდება...

დღეს იქმნება თუ ხვალ, ეს მიმართულება ჩვენში გაძლიერდება,—ეს მიმართულება ახლაც თან და თან იზრდება, —მას შესაფერ კალაპოტში ჩაგდება უნდა...

ეს კალაპოტი კანონიერ მოქმედების კალაპოტია. რევოლუციით გატაცებულ საზოგადოებაში კანონიერებაზე ლაპარაკი ძნელია, ჩვენი ხალხი ხომ გუნებითაც არ არის კანონიერებას ჩვეული. მართლაც, ერთის მხრივ სარევოლუციო გატაცება, წითელი დროშა, თავის განწირვა, რაინდული სახელის მოხვეჭა, „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“, ერთის დაკვრით საქმის მოწყობა,—მეორეს მხრივ კი გამუდმებული მეცადინეობა, შეუმჩნეველი შრომა, ერის ყველა ნაწილის შეთანხმებული მოქმედება... ქართველს არც ასეთი მეცადინეობა უყვარს, არც ეს შრომა ეხალისება... ამიტომ მას ამ გზაზედ დადგომა გასაკიცხი ჰგონია, ამიტომ მისი მლიქვნელი „მეთაურები“ ასეთ გამუდმებულ მეცადინეობას, შეუმჩნეველ შრომას ავიწყებდენ და წითელ დროშას თვალწინ უფრიალებდენ, რომ ამ დროშის დანახვით გატაცებული ხალხი აშკარა, სარევოლუციო ბრძოლის გზას დასდგომოდა.

გაიმარჯვებდა ხალხი, თუ დამარცხდებოდა ასეთ ბრძოლაში, ამ „მეთაურებისთვის“ სულ ერთი იყო და აკი მართლაც საშინლად დამარცხდა მებრძოლი ხალხი, დამარცხდა და დღეს ამ დამარცხების გამო სწუხს და რეაქციას განიცდის.

კანონიერების გზაზე დამდგარი ერი ვერ დამარცხდება: ძალიან სუსტიც რომ იყოს, გამარჯვება მაინც მისია.

ქართველი ერიც გამარჯვებული დარჩება, კანონიერების გზას თუ არ გასცილდება ხოლმე და მთელ თავის ძალღონეს კულტურულ განვითარებას თუ მოანდომებს.

ამაზე შემდეგ.

კ. თუმანიშვილი

---

## შემთხვევითი წერილები*)

I

„ივერია“-სა და „ჩანგი“-ს შორის კამათი იყო. ამ კამათში ჩაება „დროებაც“ და ზოგი ისეთი აზრი გამოთქვა, რომ მგონია „სალაღობოთ, ამხანაგთა სათრევლად“ უნდა ეთქვას ავტორს.

დავიწყოთ იქიდან, რომ „ივერიამ“ „დაუფიქრებლად თუ უვიცობით წამოისროლა, რუსის ხალხი ქართველი ხალხის მტერია და ამიტომაც ქართველებმაც ბრძოლა უნდა გააჩაღონ რუსების წინააღმდეგო“

რა ნახა აქ „დროების“ პუბლიცისტმა მოუფიქრებლი ან უვიცობის ნაყოფად მოსანათლავი? თუ ავტორს ჰგონია, რომ მტერი მხოლოდ ისეთს ადამიანს ნიშნავს, რომელსაც ცხოვრების ერთად ერთ მიზნად რისიმე მავნებლობა დაუსახეს, მაშინ რა თქმა უნდა „ივერია“ შემცდარია და რუსეთის ხალხი სრულიადაც არ ფიქრობს ჩვენ გვსრისოს, ჩვენ დაგვაბეჩაოს; მაგრამ ასეთი განმარტება რომელიმე ცნების, რომელიმე სიტყვის რომანტიკოს ბელლეტრისტების ნაწარმოებში შეიძლება ეძიოს კაცმა. მარტო რომანტიკოსები ხატავდენ ასეთის არა ჩვეულებრივ მიზნით გამსჭვალულ ადამიანებს. რომანტიკოსის აზრით ადამიანი ან მტერია ყოველთვის, მუდამ, ყოველ მოქმედებაში, ყოველ ოცნებაში და ფიქრში ან მოყვარე, ან კეთილი ან ბოროტი. თუ ბოროტია, ბოროტია უკანასკნელ სისხლის წვეთამდის; თუ კეთილია, რაც უნდა ემართებოდეს, რაც უნდა წასაგები იყოს მისთვის კეთილად მოქცევა, მაინც არ დაიშლის თავისას და კეთილად მოიქცევა.

პოლიტიკამ სამწუხაროდ ასეთი გადაჭრილი სულის კვეთების არც ერი იცის და არც კერძო ადამიანი. პირიქით პოლიტიკამ არ იცის უმრავლეს შემთხვევაში არც მტერი და არც მოყვარე: ერთი და იგივე ადამიანი, ერთი და იგივე დასი მით უმეტეს, ერთი და იგივე ერი შეიძლება დღეს ძლიერ დაგეხმაროს, შეგეწიოს, საქმე გაგიკეთოს და ხვალ კი უკუგაგდოს, ყელი გამოგჭრას და შენის ოჯახის დაქცევაზე თავისი ბედნიერება ააშენოს. ერთის სიტყვით პოლიტიკაში მტერმოყვრობა, სიძულვილი—სიყვარული კი არ არიან გადამწყვეტი ძალები, არამედ ინტერესები, ე. ი. ინტერესების ერთგვარობა გამოიწვევს იმას, რასაც ყოველ დღიურ ცხოვრებაში მეგობრობას ვეძახით და ინტერესების წინააღმდეგობა იმას, რასაც მტრობას უძახით.

ერთი შენიშვნაა კიდევ საჭირო. ვინ არის გადამწყვეტი, და ვინ იქნება დაახლოვებით ამ ახლო მომავალში გადამწყვეტი ერთა ინტერესებისა. ახლო მომავალში-თქო რომ ვამბობთ იმას კი არ ვთხოვულობთ, რომ „დროება“-მ მათემატიკურის სისწორით გვამცნოს, რა დროს ჩაუდგება თვით ხალხი მართვა გამგეობას სახელმწიფოებისას. ჩვენ გვსურს ის დაახლოვებითი დატა გავიგოთ, რომელიც ყოველ პოლიტიკოსს თვალ-წინ უნდა ედგას, რომ მოქმედება მოახერხოს. ჰო და დამეთანხმებით, რომ ამ ას-ორას წელში ეხლანდელი რუსეთი თავის განვითარებით ვერ გაუსწრებს ეხლანდელ ევროპას. ევროპის შესახებ კი თვით „დროება“ ამბობს:

ყოველგვარ სახელმწიფოს, განსაკუთრებით კი დიდ სახელმწიფოს თან დაყოლილ თვისებას შეადგენს პროგრესიული ზრდის ტენდენცია. თანამედროვე სახელმწიფო ყოველთვის ცდილობს გააფართოვოს თავისი საზღვრები, შიგნითაც სხვა და სხვა ეროვნებათა სრული „ნიველიროვკა“ მოახდინოს. რაც უნდა დემოკრატიული სახელმწიფო დაარსდეს, იგი მაინც ვერ უღალატებს თავის არსებობის თვისებას: მისი მოქმედება მაინც იქითენ იქნება მიმართული, რომ თავისი მთლიანობა და გაერთფეროვანება უზრუნველ-ჰყოს. ასის წლის წინად კიდევ შეიძლებოდა ეჭვი დაჰბადებოდა ვისმეს, მაგრამ ეხლა, როდესაც მეცხრამეტე და მეოცე საუკუნოების დიდს სახელმწიფოების ცხოვრებას ვადევნებთ თვალ-ყურს, ასეთი ეჭვები უნიადაგოთ უნდა ჩაითვალოს.“

თქვენ პირს შაქარი. თქვენ თვითონ ბრძანეთ პატარა ერს ყოველთვის სჩაგრავდა და სჩაგრავს დიდი სახელმწიფოო. რუსეთი დიდი სახელმწიფოა, საქართველო პატარა; მაშასადამე რუსეთი ყოველთვის დასჩაგრავს საქართველოს, თუ რამე არ ვიღონეთ. აქ ისეთი მარტივი მაგალითია დასკვნის, რომ ლოღიკის სახელმძღვანელოსთვის ივარგება.

როცა რუსის გლეხს ასახლებენ საქართველოს მიწა წყალზე, როცა რუსის კონდუქტორებს, ექიმებს, მოხელეებს გვიგზავნიან საქართველოში, როცა უნივერსიტეტს ვერ ვღირსეთ საქართველოში, როცა ჯარის კაცებს აგზავნიან საქართველოდან ჩრდილოეთში და იქ ჰაერს მიუჩვეველი სამხრეთელები ავათ-ხდებიან, უმრავლესობა რუსეთის ერის მეც დარწმუნებული ვარ სრულიად არ ცდილობს ქართველ მშრომელს გამოართვას პირიდან ლუკმა, ქართველები დაასახიჩროს, ქართველები უმეცრებაში გამოახჩოს, არამედ ამას სჩადის, რადგან მისი ტომის გლეხი უყვარს და სურს ადგილი მისცეს; მისი სამშობლოს უმეცრება უფრო აწუხებს და მისი მამული სურს ნახოს აყვავებული და ჩვენ გვსრესს; თქვენც და მეც სრულიად არ ვართ ფრინველის, ოთხფეხის მტერი, მაგრამ ვეგეტერიანობა არ შეგვიძლია და მათ ვსპობთ ჩვენის კუჭის გასაძღომად.

თქვენ ამბობთ, პრო'აგანდა უნდა გავსწიოთო, რათა რუსეთის ხალხი დავაჯეროთ, რომ წვრილ ერთა დაჩაგვრა მისთვის ხელსაყრელი არ არისო.

თქვე დალოცვილო, პროპაგანდას რომ ასეთი ძალა ქონდეს, ადამიანის თვისების გადასწორება და შეკეთება შეიძლებოდეს, მაშინ ხომ ჩვენ დაგვასწრებდენ: საბერძნეთი, პოლონეთი, იტალია უკანასკნელ საშუალებას არ მიმართავდა, სისხლს არ დააქცევდა.

არა, ბატონო, პროპაგადით ისეთი საქმეების გაკეთება შეიძლება, რომელიც უკვე ძვალსა და რბილში აქვს გამდგარი ადამიანს და მხოლოდ მათ გამომჟღავნებას მოელის, ნაფიქრ-ნაგრძნობის სისტემატიურად დალაგებას უცდის, ხოლო თხა და მგელის შერიგება პროპაგანდით იგივეა, რაც მგლისაგან ლობის ჩოგანით ჯერ არ არსებულ ცხოველის შექმნის სურვილი.

ჩვენ საერთოდ მიჩვეული ვართ ყოველი არა სასურველი მოვლენა მთავრობის გავლენას მივაწეროთ. „დროების“ ნარკვევის შემდგენელიც ყოველ ჩვენს დაწიოკებას მხოლოდ და მარტო მთავრობას აბრალებს და ისიც არ უნდა გაიგოს, რომ რა დღესაც მთავრობა მიატოვებს „ადგილობრივ მცხოვრებთა“ გარუსების პოლიტიკას, სხვა, შეიძლება უფრო ძლიერი საზოგადოებანი მიჰყოფენ ხელს ამ საქმეს, როგორც ეს ხდება ავსტრიაში სლავიანთა და იტალიელთა შესახებ, როგორც ეს ხდება გერმანიაში პოლონელთა წინააღმდეგ ან და ინდოეთსა და აფრიკაში ინგლისელების მიერ.

სწორედ ამ მოსაზრების დასამტკიცებლათ მინდა ორი ცხოვრებიდან ამოღებული ბაასი გადმოგცეთ.

რამდენიმე სტუდენტი, სხვათა შორის მეც მოვდიოდით სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზით. რევოლიუციის უკანასკნელი ატმოსფერა ჯერ კიდევ არ იყო გაბნეული. ჩვენს ვაგონში შემოვიდა რამდენიმე რკინის გზაზე მომუშავე პროფესიონალური მუშა. მოგეხსენებათ ეს მუშები ყველაზე განათლებულ და მოწინავე მუშებათ ითვლებიან. ლაპარაკი გადასახლებაზე ჩამოვარდა. ერთს მათგანს, რომელსაც ეტყობოდა, მეთაური უნდა ყოფილიყო ამხანახთა შორის, შემდეგი კითხვა მივეცი:

გადასახლების შესახებ თქვენს ორგანიზაციებში იყო რაიმე დადგენილება?

— არა!

— არც რაიმე ლაპარაკი ყოფილა?

— არა!

— ეს ძლიერ მასიამოვნებს. სწორედ თქვენ შეგიძლიათ მუშათა გულის ნადები გამავებინოთ. საქართველოში არის სახელმწიფო მიწები. ეს მიწები ჩამოართვეს ჩვენს მეფეებს, თავადებს, მონასტრებს და სხვა. ამ მიწებით უხსოვრის დროიდან სარგებლობდენ გლეხები, ეხლა მთავრობა მიწის მიცემაზე ქართველ გლეხებს უარს ეუბნება და ურიგებს რუსის გლეხობას. თქვენ რა აზრისა ხართ? როგორ მოგწონთ?

— ქართველ გლეხებს უარს ეუბნება?

— დიახ!

— მათაც მისცეს! მომიჭრა მობაასემ.

— ამდონი მიწა არ გახლავთ. მთელი თავისუფალი მიწა რომ დაურიგონ, ქართველ თითოეულ გლეხს მაინც არ ხვდება საყოფი. ასე რომ საჭიროა მოესპოს ყოველივე დახმარება საქართველოში მიწის შეძენაში ყოველს არა ქართველს, რუსი იქნება ის, გერმანელი, თუ სომეხი სულ ერთია; მაგიერათ ათასი საშუალება უნდა გამოიგონოს, რათა ქართველ გლეხთა მიწის შიმშილი რაც შეიძლება მალე იქნეს დაკმაყოფილებული. თქვენ რა აზრის ხართ ამ საგანზე?

მუშა ცოტა შეჩერდა და მერმე მითხრა:

— ჩვენც მიწა ძლიერ გვჭირდება; იფიქრეთ, აქ ერთი დესიატინის ქირათ წლიურ 25 მანეთი უნდა ვიხადოთ; ამიტომ კავკასიაშიც უნდა ვეძიოთ თავისუფალა ადგილები.

— კავკასია ხომ ჩვენ დავიპყარით— დაეხმარა ერთი ამხანაგი მობაასეს.

— ჰო და ესეც ანგარიშშია მისაღები —გააგრძელა ჩემთან მობაასე მუშამ— კავკასია ჩვენ ძვირათ დაგვიჯდა, როგორც ადამიანების, ისე მატერიალურის მსხვერპლის მხრივ. უნდა ვინაზღაუროთ რითიმე: მე არ ვარ მიმდევარი იმ ცრუ აზრის, თითქოს საქართველო დაპყრობილი კი არ იყოს, არამედ ნებაყოფლობით იყოს შეძენილი. ამიტომ დაპყრობის შესახებ არაფერი მითქვამს. არც სხვა რამ მითქვამს მისთვის: რაც მაინტერესებდა, უკვე გავიგე.

აი მეორე ბაასიც, რომელიც ამ ცოტა ხანში გაზმულა ერთს საზოგადოებაში. მე იქ არ დავსწრებივარ, მაგრამ, რომ ნამდვილია, იმის პასუხის მგებლობას ვკისრულობ.

ცნობილს, გამოცდილს რუსის რევოლიუციონერს, რომელსაც თითქმის მთელი ცხოვრება სატუსაღოში გაუტარებია, მუსაიფში უსურვებია საქართველოსთვის ავტონომიის მიღება. ვიღასაც უკითხავს, რატომ სრული დამოუკიდებლობა არ უსურვეთ საქართველოსაო. რევოლუციონერი შემკრთალა, მაგრამ მერმე უთქვამს:

— მე არ მიამება, მაგრამ თუ მოახერხებს, მიიღოსო.

— რატომ არ გიამებათო?— შეეკითხენ თურმე ხელმეორედ.

— უსათუოდ ცუდათ ვარ აღზრდილიო —მიუგო რევოლუციონერმა. აქ ორს რასმე მივაქცევ თქვენს ყურადღებას. ერთი რომ რუსის რევოლიუციონერი, მუდამ თავისუფლებისთვის მებრძოლი, კეთილ განწყობილი, ქართველ საზოგადოებაში მუსაიფობს, მაშასადამე ყველაფერი ისეა მოწყობილი, რომ უნდა გავიგონოთ ძლიერ სასიამოვნო იდეალური და თავისუფალი რამ, მაგრამ მეტს ვერ ახერხებს დაგვითმოს. თუ ასეთს მდგომარეობაში სურვილიც კი ვერ გამოთქვა უკეთესი, თუ ერის სიმწიფის საუკეთესო გამომხატველი მდგომარეობა რევოლუციონერისთვის ბაასშიაც კი არ არის სასიამოვნო, რას ენახავდით, რას გავიგონებდით, რომ ეს საკითხი ასე ზლაპრულათ კი არ იყოს დაყენებული, არამედ პრაქტიკულად.

სხვა სიტყვებით ჩვენი რევოლიუციონერი იმასვე იმეორებს, რაც „დროების“ ნარკვევის ავტორმა თქვა: „დროების“ მწერალს „პროპაგანდის“ იმედი აქვს, რევოლუციონერი თავის აზრის სიმკაცრეს ცუდს გაზრდას მიაწერს—მაშასადამე იმედი აქვს უკეთესად აღზდილი რუსები უფრო კარგად იფიქრებენ და იმოქმედებენ საქართველოს შესახებო.

უფრო კარგ აღზრდას რომ უფრო კარგი ნაყოფი მოაქვს, ეს ჭეშმარიტებაა, მაგრამ როდის მოესწრება რუსეთის თუ გნებავთ ერთი მესედიც კი ისეთ განათლებას, განვითარებას, აღზრდას, დამონების გამრყვნელობის შეგნებას, როგორიც წილად ხვდა ჩვენს რევოლუციონერს?!!

ამას ხომ ათასი წელი უნდა! და ათას წელიწადში ჩვენ აღვიფხვრებით პირიდან სიწისა და თან წაგვყვება მხოლოდ იმედი პროპაგანდის ძალისა და ოცნება ხალხთა, ერთა ფსიხოლოგიის შეცვლით უკეთესი მომავლის.

ნ. ლორთქიფანიძე.

---

## ჩემი დღიური

გაზ. „მომავალს“ თავისი თავი მუშათა ინტერესების დამცველად გამოყავს. მაგრამ ამ ინტერესებს იგი იცავს ისე, რომ მუშებს მისი ქომაგობა საზარალოდ ურჩებათ.

ყველამ იცის, რომ ცუდი დამხმარე ხშირად საქმეში ნამდვილ ხელის შემშლელად გამოდის, უვარგისი მოყვარე ხშირად მტერზედ უარესია.

ასეთივე მტერზედ უარესი მოყვარე მუშებისთვის „მომავალისთანა“ გაზეთებია...

მუშას რა სჭირია? სინამდვილეს გაგება! არსებულ დუხჭირ პირობების შეცვლა რას შეუძლია?—ამ პირობების შესწავლას. რამე სნეულების, რამე უბედურების მიზეზი თუ არ ვიცით, ამ სნეულებას, ამ უბედურებას ვერ მოვსპობთ.

„მომავალი“ ყოველ საზოგადო სნეულების, საზოგადო უბედურების ნამდვილ მიზეზს მალავს და ყოველგან ამ მიზეზად ასახელებს იმას, რაც თვითონ უნდა. ცოლი ქმარს რომ გაეყაროს, აქაც კლასსთა ბრძოლას ახსენებენ „მომავლის“ მწერლები.

და ამ კლასსთა ბრძოლაში „მომავლის“ მწერლები, როგორც „მუშათა ინტერესების დამცველები“ რასაკვირველია ყოველთვის მუშათა მხარეს იჭერენ. ათასი მტყუანიც რომ იყოს მუშა, „აღასთან“ იგი ყოველთვის მართალია,—აი ამ ბატონების ზნეობრივი პრინციპი.

ამ პრინციპს ისინი შეგნებულად ადგიან, რადგანაც შეუგნებელ მკითხველებთან და შეუგნებელ მიმდევრებთან აქვთ საქმე. ეს პრინციპი, სამართლიანობის დამრღვევი, სამართლიანობის გრძნობის მომსპობი, ხალხის კულტურულ განვითარებასაც სპობს და ხალხს აველურებს...

ზნეობრივად გაველურებული ხალხი ქონებრივადაც ეცემა:

ჩვენში ამ ბატონების წყალობით მუშებმა ბევრგან შეუფერებელი მოთხოვნა წარუდგინეს პატრონებს და ამით ის წარმოებები მოსპეს, რომელშიაც მათ ლუკმა ჰქონდათ.

მაშინ ეს „მეთაურ-ქომაგები“ ამ შეუფერებელ მოთხოვნებს კანონიერად სთვლიდენ და ლანძღვა-გინებით იხსენიებდენ პატრონებს, თუმცა იცოდენ, რომ მათ ხსენებულ მოთხოვნათა შესრულება არ შეუძლიათ, რადგანაც ამ მოთხოვნათა შესრულებას წარმოება ვერ აიტანდა.

წარმოუდგენელმა ეკონომიურმა კრიზისმა წელში გასწყვიტა ხალხი. ყველა დაგვეთანხმება, რომ ახლა ხალხი საერთოდ და მუშა ხალხი კერძოთ უარეს პირობებშია, ვიდრე წინეთ ყოფილა.

რატომ? იმიტომ, რომ მუშებისაგან „ბრძოლით მოპოვებული“ შრომის პირობები ქართველ ხალხის ახლანდელ ეკონომიურ მდგომარეობის შეუფერებელი გამოდგა. ამ პირობებმა გააძვირეს ადგილობრივი წარმოება, გაძვირებულმა ნაწარმოებმა ქიშპობა ვერ გაუწია შემოტანილ საქონელს, გაძვირებულმა ადგილობრივმა მუშა ხელმა ქიშპობა ვერ

*) ეს წერილი უადგილობის გამო წარსულ ნომერში ვერ დაიბეჭდა.

გაუწია შემოსულ მუშა ხელს,—ადგილობრივი ნაწარმოები არ გასაღდა, ადგილობრივი მუშა უსაქმოდ დარჩა.

ცხოვრებამ თავისი მოთხოვნა წამოაყენა. რაც დროის შეუფერებელი პირობებია შემოღებული, უნდა მოისპოს, ერთ მწკრივად მოსიარულე რაზმში ვინც წინ ზედმეტი ფეხი გადადგა, უნდა შეჩერდეს, რომ რაზმმა ისევე მწკრივად მოახერხოს სიარული.

წინ წაწეული ზოგან მუშები გამოდგა,—ცხოვრებამ მათ უკან ჩამოწევა მოსთხოვა..

ამ უკანასკნელთა ჩამოწევას თან მოჰყვება წარმოება-ვაჭრობის გამობრუნება, უმუშევრად დირჩენილ ხალხის საქმეში ჩადგომა.

„ვარსკვლავის“ მწერლები—რაო და მუშებს ვქომაგობთო,—გაიძახიან, ეს მყვლეფელობა, ეს აღვირ-ახსნილი ექსპლოატაცია არისო. პატრონები შეუფერებელ მოთხოვნას უყენებენ მუშებს და ახლად მოპოვებულ შრომის პირობებს უსპობენო...

რა უნდათ მუშებისაგან? მტრობაზედ უარეს ქომაგობას რად უწევენ მათ? რად არ უნდათ სწორ გზაზედ დააყენონ მუშები, წარმოების გაფართოვება, ხალხის ეკონომიურ ცხოვრების გამოცოცხლება შეაძლებინონ და **ამ გზით** მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებაც შესაძლებლათ გახადონ?

ალბათ თვითონ თუ გამძლარნი არიან! აკი თავის საკუთარ წარმოებაში, გაზეთის გამოცემაში მათ მაგარი მუხრუჭი მოუჭირეს თავიანთ ამწყობებს და ისეთ პირობებში ამუშავებენ, რომელიც სხვა გაზეთებში წარმოუდგენელია... რასაც აქ, საკუთარ წარმოებაში, ეუბნებოდენ თავის მუშებს, ისევე ის სხვა მწარმოებლებმა თავიანთ მუშებს რომ უთხრან, განა მყვლეფელობა და მუშათა აღვირ-წახსნილი დაჩაგვრა იქნება?

ამ „მუშების უარეს პირობებში ჩაყენებით“ არსებობს დღეს გაზეთი „მომავალი“ და „მომავლის“ მწერლებს ეს სასარგებლო ჰგონიათ.

ასეთივე მუშებს „უარეს პირობებში ჩაყენება“ სჭირდება საუბედუროდ ზოგიერთ სხვა წარმოებასაც, რომელიც მუშების კარგ ჯამაგირს ისევე ვერ იტანს, როგორც ვერ იტანს მას გაზ. „მომავალის“ გამოცემა.

თვალთმაქცობა, თვალის ახვევა, სხვებისთვის სავალდებულოდ გახდომა იმისი, რასაც ადამიანი თავისთვის სავალდებულოდ არა სთვლის,—დროა ამაებს თავი დაანებოს ყველამ, ვისაც სხვისი ქომაგობა სურს, სხვისი მეთაურობა უნდა.

**მეთვალყურე**

# „...ნუ ხარ ბურჟუა!“

**პატარა ამბავი**

ახალის ცხოვრებიდან

(გაბილას ნაამბობი)

**ნაწილი პირველი.**

## I

„ჩვენი სახლი ყოლისფრით უხვი და სტუმრის მოყვარეთ რომ ითვლებოდა იგი ყველამ იცის... ცხენი, ხარები, ძროხები, ქათმები, ინდოური, იხვი, ყანა, ბაღჩა, ვენახი, ვენახი, სიმინდი, ღომი, ლობიო, ხაპი, კინტრი, ნესვი, ხაბურძაკი, სუნნელოვანება, ხილეულება და სხვა გამოულეველი გვქონდა, მარა ყვალაი იგინი, განა, იეფათ გვიჯდებოდა?.. მე და ჩემი ცოლი, ფოტინეს განუწყვეტლივ ვმუშაობდით, დღე და ღამეს ვასწორებდით.

## II

დიახ, ყოლისფრით მსუყე იყო მე და ჩემი ფოტინეს ოჯახი და რომ ჩვენი ნამუშიერი თლათ ჩვენი ყოფილიყო, მაშვინ ჩვენს ბედს ძაღლიც ვერ დაჰყეფდა, მარა ეს ასთე როის იყო... ჩვენი ნამუშიერის ნახევარი ბატონს მიჰქონდა, დანარჩენის ნახევარი-კი: სახელმწიფო გადასახადს, კანცალარია', კლასს, მწერალს, უჩიტელს და ხუცეს—დიაკონს უნდებოდა, მარა ჩვენი ოჯახი, მაინც იმდონათ სავსე იყო, რომ ათი და თუთხმეტი სტუმრისთვის ჩემი ფოტინე კარზე ფეხს არ გადაადგამდა. ტანფეხზედაც ქი გვეცვა გვარიანათ. ჩვენ შვილებიც გვარიანები გვყავდა—ხუთი ვაჟი და სამი ქალი.

## III

ხთის მადლით ჩვენი შვილები ყველაი ჯანმთელი, ცქვიტი და ლამაზები გამოვიდენ. შევხაროდით მათ ზდა-წარმატებას და სიამუნებით ვფიქრობდით—აგერ წამოგვეზდებიან ბაღნები, ამოგვიდგებიან ბაღნები, ამოგვიდგებიან გვერდში და ჩვენი ოჯახი ერთი ორათ იმატებს თქვა. ბაღნები წამოიზარდენ თუ არა მაშვინათე აქვე ჩვენი სოფლის კლასში მივეცით, შეძლებისა დაგვარ სტავლა მივაღებიეთ, მოველოდით ჩვენი ფიქრების, ბაღნებზე იმედების საქმეთ ქცევას, მარა „კაჯი სჯის ღმერთი იცინოსო“ ნათქვამია და ჩვენც ჩვენი ფიქრები თლათ ჩაგვეფუშა, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ—ჩაგვიფუშეს...

## IV

როვარც თავს მიესრენ ჩვენი შვილეები, ზოგი ზეით, ზოგი ქვეით და ზოგიც, ვინ იცის სეით წევიდა-წამოვიდენ. საფსე აფხანაკები გეიჩინეს და ჩვენს ოჯახში ამ შეერთებულმა აფხანაკებმა კლასი გამართეს. იმისთანას, იმისთანას ლაპარაკობდენ, რომ თმა ყალყზე მიდგებოდა, შიშით ვკანკალებდი... რომ რასაც ჩიოდენ სულ მართალი იყო, რადგან რაც კი გვითხრეს ყვალაი ახათ, გახორციელდა. მოგიყობით თავიდან: დეიძახეს: „ბატონმა მისი წილი ნამუშიერი, რომელსაც წინეთ ჩვენ თვითონ უზიდავდით და უყრ·დით ნალია-ბელელში, აწი თვითონ უნდა წეიღოსო“... თუმცა ბატონები ამაზე ერთი გაწყლომა ძანიელი გაწყლენ, მარა ბოლოს დათანხმდენ და წეიღეს. მიორე წელიწადს დეიძახეს, ბატონს სულ ნუფერს მივსცემთ, საბალახოც ტყულათ ჩევირჩინოთ, შეშაც, წყალიცო, მერე ხუცეს დრამაო ნუ ვაძლევთო და სხვა ბრავალი... თქვეს, შენ ხარ ჩემი ბატონი და ქნეს კიდეც.

## V

დედა!.. გავშტერდი კაკალი კაცი... სტორეთ სასტაულია, ლომისკარელის წმინდა გიორგის სასტაული მეთქინ ვფიქრობდი, მარა ბოლოს აგი ჩვენი ლომიკარელის ხატიც გამეიტანეს საყდრიდან, გახრიტეს, მუაბეს, შენ ხარ ჩემი ბატონი დიდი ქვა კისერში და შით სუფსაში გადუშვეს...

## VI

წირვა, ლოცვა, ხუცესი ეკლესია სულ ტყუილიაო დეიძახეს. აგი კი არ მეჰაშნიკა, შენი თავი არ მომიკვდეს, მარა, როიცხა ვნახეთ, რომ ჩვენი ნამუშიერი, ბატონის მიწა-წყალი, ხე-ტყე, საბალახო ყველაი ჩვენი შეიქნა, ვიღან დასდევდა რამეს, ყველაყაი დევიჯერეთ. ვჩიოდით: თუ კი ამდონი საშინელი რამეები თქვეს და კი ახთა, აგიც ახთება თქვა...

## VII

შევწყვიტეთ ყოველნაირი გადასახადი, ბატონს აღარაფერი, არც სახელმწიფოს... პაღური...

## VIII

მარტვაი ერთი წლის მისაცემებიდან იმდონა მოგვიგროვდა, რომ მეორე და მესამე წელიწადს სრულიათ უმუშიერათ გვეყო. დავრწმუნდით რომ აფხანიკობა და სოლიდარობა ყოლიფერს გვაძლევდა, მუშაობა შევამცირეთ.

## IX

ჩვენი ბატონები ჩვენი აფხანაკები შეიქნენ. ახლა იგინი ჩვენ ისე გვერიდებოდენ, როვარც წინეთ ჩვენ იგინს ვერიდებოდით. ასეთი ბედნიერი ვიყავით ბარე სამი წელიწადი.

## X

ჩემი ქალიშვილები სამივე გათხოვდენ, ახალი კალონით—უღდლოთ და უღვთოთ... ვაჟები სულ პროპაგანდისტებათ, სოციალ-დემოკრატებათ გამევიდენ...

## XI

ყოლიფერი გასწორდა, გაერთიანდა... თუმცა რაცხა პაწაი გადასახადი კი დაგვადვეს „ორგანიზაციააო“, მარა მაგი რა უნდა ყოფილიყო—თვეში თითო აბაზი იყო, გინდა მანათიც ყოფილიყო, ამისას მარტო ბატონის ტყის შიშას გავყიდიდით ოზრუგეთში...

## XII

ჩემი სახლი როვარც მოგახსენეთ, ნამდვილი კლასი შეიქნა. ჩემი ქალიშვილები—ქალებს, ვაჟიშვილები კი ვაჟებს მოაგროვებდენ და სულ არი არალოს და დელი დელას იძახოდენ. ჭამდენ, სვამდენ, ლაპარაკობდენ და კითხულობდენ ათას ნაირ წითელ-ყვითელ კანიან წიგნებს...

## XIII

ასე იყვენ სანამდი ყოლიფერი გამეილეოდა ჩემს ოჯახში. ბოლოს როიცხა შევხედე რომ ღომი და სიმინდი ილევა, ცოტა არ იყოს შიშმა ამიტანა. აქ კიდო, რაცხა უბედურათ, ამ გაცხრომისა და უსაქმობის დროს ჩემმა ფოტინემაც გეისვა ხელი და კაი ორი ბაღანაიც კიდო შემძინა, აქეთ კიდო ჩემმა შვილებმაც გააკეთეს თითო-ოროლი ბაღნები... ისთე გავბრავლდით სულ ოთხ წელიწადში, რომ 25 სული ვიყავით.

ასე, ჩემი ბატონი ხარ შენ, ქი ვიყავით გვარიან კარქათ. ღვთის წყალობას და ბატონის ნაწილსაც არხეინათ მივირთმევდით...

სულ ტყუილი ყოფილა ჩემო ძამია, რომ ამბობენ, ვითომ ახლობელი ნათესავების შერთვა შვილოსნობას სპობსო, ჩემი შვილები ამას სულ არ გადუგვარებია... მაგრამ..

**ნაწილი მეორე**

I

ახლა კი სულ სხვა სურათს ვხედავთ, ყველა ის გაქრა, ზღაპარს დიემზგავსა, რაც ჩვენ სამუდამოდ დაგვარწმუნეს. ვხედავთ ბელელი ცარიელია, ნალიაში აღარაფერი ჰყრია, არც ზროხა, არც ხარი, ცხენი, ჯორი და სხვა, სულ ერთობის მსხვერპლი გახდა. შვილები, რომლებიც მოზრდილები იყვენ ყვალაყაი საცხა მიიმალენ. საჭმელ-სასმელიც გამოილია და მე კი დამრჩენ სახლში მხოლოდ აფხანიკების კრებების ნაშთნი შვილისშვილები და ჩემი ფოტინეც კიდევ ფეხმძიმეთ...

II

ვიშლიჭე თავში ხელი, გავშპი-გამოვშპი აქეთ-იქით... მივედი მეზობლებთან... რას ვხედავ, ყველა ჩემს დღეშია.

მოვგროვდით, უნდა მოგველაპარაკა, რა ვქნათ, როვა მოვიქცეთო, რომ ამ დროს გევიხედეთ აფხანიკი კაზაკები ცხენებზე მოჰქონდენ ჩვენკენა.

გაგვიხარდა, ჩვენი ძმების დანახვა და ერთ ხმათ შევსძახეთ გაუმარჯოს ერთობასო. მაგრამ ვაი ჩვენს მოსწრებას, მადლობის მაგიერ მათრახები დაგვიშინეს და ისთე მიგვბეგვეს, რომ ახლაც გვეწვის ზრუგი. ეს ჩვენ—მოხუცებულებს, მხოლოდ თუ ახალგაზდებს მუასწრობდენ იქვე ჰკლავდენ...

დადგა, შენ ხარ ჩემი ბატონი, გაკითხვის დღეი: იქით მთავრობა, აქეთ კიდევ ერთობა... ისეთი დღე დაგვადგა, რომ ენით არ ითქმის და კალმით არ ეიწერება...

დაგვწვეს, დაგვდაგეს, დაგვარბიეს და ვაი ჩვენს მოსრებას, ბოლოს უმზერთ ის ჩვენი აფხანაკების უმრავლესობა, ზოგი სულ გადიკარგა საცხა და ზოგიც ჯაშუშათ და სტრაჟნიკებათ გადაკეთდენ და ისთევლე ჩვენ მოგვდგენ და ზურგზე ასჯერ გამშპარ ტყავს ისთევლე ძრობა დაუწყეს.

ჩემი საბრალო ქალიშვილები ისთე დამიმქრივდენ, რომ არც ერთს ქმარი არ მოკტენია. თურმე ქმრებს იგინი მანამდი უნდოდათ სანამ მე მჭადი ლობიეი მექნებოდა. მერმე კი აქეთ იქით მოჰკურცხლეს და აი ბაღნები ქი შემომატიეს მე შვილებიანათ...

III

მოგეცა ხთის წყალობა, ვიკადრეთ ისთევლე მუშაობა, მაგრამ ოთხი წლის განებივრებულს ხელებზე ტკავფში ამიდგა, მარა რას ვიზამდი. დავტრიალდით ხელახლა და აი კიდო, მადლობა ღმერთს, იმდონი სიმინდი, ღომი, ლობიეი, ღორ-ქათამი მოვიყვანეთ მე და ჩემმა ფოტინემ, რომ სავსებით გვეყოფოდა ამ წელიწადს. შვილები კი სახლში არ მოკარებიან... სად იყვენ მთელი ზაფხული არც კი ვიცოდი და როცა დაზამთრდა ქე მობძანდენ შინ...

IV

გამიხარდა, ვიფიქრე უეჭველათ საშოვარზე იქნებოდენ და ახლა მოვიდენ მეთქინ. მივიღე, ვასვი, ვაჭამე... კაი ერთი თვე დარჩენ ჩემსას... ნელ-ნელა ისევ მოჰკიდეს ხელი პროპაგანდას... ახლა რაღაც სოციალიზმზე, რაღაც გაფიცვაზე დეიწყეს ლაპარაკი...

V

ვხედავთ, სჭამენ და სჭამენ ამ მე და ფოტინეს ზრუგით მოთრაქულს (ხარები აღარ გვყავდა) და სისხლის ოფლით ნამუშიერს, შენ ხარ ჩემი ბატონი და, რუსეთისა და ამერიკის საქმეებზე ლაპარაკობენ. გულმა აღარ მომითმინა და ერთხელ უთხარი: შვილებო და მეზობლებო! რას მიედ-მოედები, ასე უსაქმოთ ყოფნა როვა შეიძლება?... თუ რამე მოიტანეთ მომეცით, შემეწიეთ, თორემ ეს ღომი და მჭადი ილევა და უსუსური ბავშვები შიმშილით დაიხოცებიან თქვა ..

VI

იუცხოვეს ეს ჩემი წინადადება და გულის წყრომით შემომხედეს. „ნუ ხართ ბურჟუა!.. როგორ თუ გამოგელევა, ჯერ ხომ არ გამოლეულა?.. განა ამაზე უნდა ფიქრობდე... სანამ არის ვჭამოთ უნდა...

— მერე როცა გამოგველევა მეთქინ, სიტყვა აღარ დამასრულებიეს და კიდევ შემომიყვირეს „ნუ ხართ ბურჟუა!-ო“, როცა თლათ გამეილევა ყოლიფერი, მაშვინ თქვი, ჯერ რა დროსია ამაზე ლაპარიკიო... შენ ამით სოციალიზმს ღალატოფო და კალამ სახლიდან გაგდეს...

ვაი რა აბდლები ვიყავით თურმე. გუშინდელივით მახსოვს როიცხა ყოლიფერი გაგვივიდა, გავნებიერდით, გავამაყდით, გავდიდგულდით... ბიჭო, აფხანიკო გაბილავ, ხომ ხედავ რაები მოვახერხეთ... აი ვინ ვართ ჩვენ სოციალ-დემოკრატები... იყავით თქვენც ყვალაი მუშათა პარტია—სოციალ-დემოკრატიაო, ვინც ამ სახელის დეითქვამს ყოლიფერი მისიაო. აბა რა გვენაღვლებოდა... მთელი ჩვენი სოფელი, მაზრა, თლათ გურია სოციალ-დემოკრატია—მუშათა პარტია შეიქნა...

V

დიახ ასე იყო და ახლა კი, ჩვენი სოფლის ერთი მოხუცის არ იყოს, მხოლოთ ზღაპარივით გადიქცა, კი არავის სჯერა თუ როიცხა მართლა ისთე იყო, ყველას ახლა სიზმარი ჰგონია. აი როგორს დღეში ჩავვარდით?

ცოტა ხანს კიდევ მოვითფინე, მოვერიდე, ეგებ თვითანვე ისირცხვილონ მეთქი, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ!.. არა თუ არ წევიდენ, თან და თან ბრავლდებოდენ. . ახლა თავიანთი ვითომდა ცოლებიც მოიყვანეს და გაუსვეს ხელი სმა-ჭამას.

VI

საბრალო ჩემი ფოტინე საჭმელის კეთებას ვერ ასდიოდა. თუ წამოგცდებოდა მე და ფოტინეს — რა გვეშველება რომ ყოლიფერი ასე ილევა თქვა.—მაშინვე ჩემი შვილებიც შემომძახებდენ „ნუ ხარ ბურჟუა“, თვარა ბოიკოტს გაგიკეთებენ, მოგკლენო..

VII

დღე დღეზე მიდიოდა, ნალია და ბეღელი ცარიელდებოდა. აფხანიკების კრებებს კი არ აკლდებოდა... ეს ასე მარტო ჩემსას კიარ იყო, არამედ ყველგან სადაც კი მჭადი და ღომი ეგულებოდენ.

VIII

გამოვედით მოთმინებიდან. შევიკრიბეთ ჩუმათ მთელმა სოფელმა, გვინდოდა მოგველაპარაკა ჩვენს მომავალს აუცილებელს სიმშილ-წყურულზე, მაგრამ ვინ დაგანება, მოგვეჭრენ კიდევ კაზაკები და ცემით სიკვდილზე მიგვაყენეს. ერთი დიდი საქმე კი ვქენით, ქრისტეს რჯული ერთ რამეში კი შევასრულეთ, ქრისტეს უბრძანებია, როცა მარცხენა ყბაი ამოგიბრეგვონ მარჯვენაც მიუშვირეო... ჩვენ კი ამაზე მეტსაც ვშობით, როცა გვერდებს ამოგვიმსხროვენ მაშვინათვე ზრუგს მიუშვერთ, მარა აღარც აგი გვშველის ..

IX

ასე უსაშველო შეიქნა ჩვენთვის საქმე... ვეღარასფერს გავხდით, იქით კიდო გაჯავრებული მთავრობა ხუთი წლის ჯავრს ეროათ იყრის და მთელს გადასახადებს ერთად გვახდევინებს, აქეთ კი ნააფხანიკარნი სიკვდილს გვპირდებიან და გვიყვირიან „ნუ ხართ ბურჟუაო“...

ვეღარაფერი გაგვიგია, დევიბენით, დევიკარგეთ... გვეუბნებოდენ, ნუ გეშინიათ, ნუ გენაღვლებათ, მედგრათ წადით წინ, გაპროლეტარდით და ამით გაამრავლეთ ლომ გული მებრძოლნიო, მაგრამ არ იქნა ის რასაც გვიჩივოდენ გალომგულ-პროლეტარობის ადგილას ჩვენ გავპლუტდით, გავველურდით და აღარ ვიცით, ვინ და რა სჯობია, ვის მივყვეთ, ვის მივეკედლოთ, რა ვქნათ... და აი ახლა მოგმართავთ თქვენ და გთხოვთ გაგვაგებიოთ, აგია სოციალიზმი, სოლიდარობა და ერთობა, რომ ახალგაზდებმა არაფერი აკეთონ და ჩვენ კი მოხუცებულებმა წელებზე ფეხები ვიდგათ და იგინი ვარჩინოთ!...

X

წინეთ ასე გვიჩიოდენ, სხვის ნაობლარს ვინც ჭამს, ბურჟუა იგიაო... ახლა კი თვითონ ჩვენს ნაოფლარზე ცხოვრობენ და ბურჟუას ჩვენ გვიძახიან...

XI

თუ ღმერთი გწამთ, გვირჩიე, რამე, გაგვაგებიეთ, მოგვეშველეთ, დაგვაყენეთ სტორ გზაზე, თვარა ხთის მადლს ვფიცავართ საჯაყ საქმეს ვიზამთ...

XII

აბა რა ვქნათ, რა წყალში ჩავცვინდეთ, როიცხა ყვალამ ჩვენზე გეისვეს ხელი, გვცარცვენ, გვგლეჯენ, გვცემენ და გვტყეპენ, ამისთანა სიცოცხლეს სიკტილი ჯობია, გაწყტა მოთმინება... სტორეთ საჯაყი საქმე უნდა ჩევიდინოთ და მერმე რაც იქნება იქნეს...

ანასუნი და აბრადინი ჩვენს საქმეს... თუ კი სხვა საშველი არაა!..

**იასე რაჭველი**

## სასცენო კუპლეტები.

მიწა აღარ მეპოება,
არსად ბინა—თავსაფარი,
სამსახურიც ვერ ვიშოვე,
თუმც შევძარი მთა და ბარი,
ყველგან მითხრეს: „შენისთანა
ლატაკები ბევრი არი“,
და ჩვენც ცოლქმართ ვთქვით: ვითმინოთ,
შვილი აღარ გავაჩინოთ!..
მაგრამ ერთი რომ გვეყოლა,
ვიამეთ და გავიხარეთ,
ორთავენი ვლალაობდით,—
მის გაზრდა არ დავიზარეთ;
მეორე რომ დაგვემატა—
შევსწუხდით, დღე გავიმწარეთ,—
სიღარიბემ მოგვდო ხელი,
და მოგვწყვიტა ცოლქმარს წელი!..

* *
*

უსწავლელი ქვად ქცეულა,—
ბოროტების არის ხმალი.
ჩვენ შვილებს კი ვერ ვასწავლით,—
რა ექნებათ მომავალი,
ისე უნდა გაქრეს ქვეყნად,
რო არ დარჩეთ ნათლის კვალი,—
რაღად გვინდა მაშ შვილები,
უსწავლელი—უწრთვნელები?!.

* *
*

და ცოლქმარმა გადავწყვიტეთ,
ერთმანერთს არ მივეკაროთ,
მაგრამ ღამით... გავფაჩუნდით,
ვქმენით საქმე... სამწუხაროთ...
ცოლს რომ გული აერია,
არ მივიღეთ გასახაროთ,—
იწამლა და... კინღამ მოკვდა,
თუმც მუცელი სწრაფად მოსწყდა...

* *
*

დასნეულდა... მეც დავბერდი,
აღარ ვაჩენთ აწ შვილებსა,
გინდ გაგვიჩნდეს—ვინ მოუვლის
ქუჩის სტუმართ—ყრუ მშივრებსა,
უშვილობა მოდათ გვექცა
აღარავინ გვაწბილებსა,
ასე გვიწერს წესს-ცხოვრება,
მამა ღმერთი და დროება!..

**იზიძე.**

## სურათი სოფლად

ხრამის პირს მიყვება ფერდობზე გაჭრილი სოფლის გზა. ხრამი და გზა უეცრად უხვევს. კუთხეში ხრამიდან თავი ამოუყვია ვეებერთელა ცაცხვს და მჭიდრო ჩრდილით ფარავს ორივ მხრივ ამოსული მუხებით გადაბურულს ყინვარიკით ცივ წყაროს. წყარო ფერდობის ძირში ღარიდან მორიკრიკობს, ამ ადგილას კენჭებით მოყრილ გზაზე ეცემა და ჩხრიალით უფსკრულში ვარდება. აქ მუდამ გრილა; თითქმის სცივა.

წყაროს ფეხში ჩერდებიან მგზავრები; დაიბანებენ პირს, დალევენ წყალს, ცხენს თვალს ამოუწმენდენ, ყურს დაუწევენ, ურმის ღერძს დასაპნავენ; შორს მიმავალი აქ ისაუზმებს, მითვლემს.

ყმაწვილი ქალი ღარის წინ ქვაზე ჩამომჯდარა; თავსაფარი გადავარდნია; მაყვალსავით შავი თმა ბეჭზე სცემს, ქვაზე იღრაკლნება და გვერდში დადებულს, პატარა ფუთას სწვდება.

მთელი სხეულით, მიხვრა-მოხვრითაც კი გამოიხატება უმწვერვალესი სიყვარული და ყურადღება პაწია, ბუნჩულა

არსებისადმი, რომელიც მიყრდნობია თეთრს, სიცოცხლით სავსე, ფეროვანს, განსპეტაკებულს მკერდს და თითქმის მიძინებული სწოვს ძუძუს.

მზრუნველობაში გართული, სხვა ფიქრით გატაცებული ქალი ვერც კი ამჩნევს სანადირო ძაღლს, რომელიც ხარხარით თქვლეფს წყალს. სალარის ქვეშ დამდგარა ძაღლი წყალში ჩაყრილ ქალის ფეხების ახლო.

ქალს თავი დაუხრია. მოშავო, ოდნავ ჭორფლიან სახეს, მოკლე, თხელ, მოღუნულ ცხვირს დაფიქრებული, დიდრონი თვალები ამშვენებენ და წითელი ტუჩები, მშუქავი, თეთრი „ჩაწკრიალებული“ კბილები ალამაზებენ.

გამარჯობა, დობილო! — წამომცდება რაღაც ეშმაკათ. აჰ!—შეკრთება ქალი და ცდილობს საჩქაროდ შეიკრას გული, ჩამოუშვას კაბა, სახელოთი დაფაროს დაკოტავებული მკლავები და მიმალოს უბეში პაწია.

განა რომელიმე მათგანი დასამალავია?

**ნ. ლ.**

## შ ნ ი შ ვ ნ ა.

უცნაურია ზოგიერთ ადამიანის ამბავი! სადაც უნდა იყოს, რა პირობებშიაც უნდა ჩავარდეს, ყოველთვის ერთსა და იმასვე ხედავს, ხედავს იმას, რისი დანახვა წინ და წინვე განუზრახავს.

გაზ. „მომავალი“ სჩივის, ჩვენში სოციალისტური წიგნაკები ნაკლებად სადდება, სოციალისტური მოძღვრება ნაკლებად შეთვისებული აქვს ჩვენებურ პროლეტარებსო. ამიტომ საჭიროდ სთვლის გამოიცეს ისეთი წიგნი, რომელიც სოციალისტურ მწერლობის არჩევასა და შესწავლაში ხელს შეუწყობს ქართველ მუშებს.

ჩვენც თანახმა ვართ, რომ ჩვენში მუშები ნაკლებად შეგნებული არიან, რომ მასს ნაკლები ცოდნა აქვთ, მაგრამ იმისი თანახმა კი არ ვართ, რომ ამ ცოდნის შევსება მხოლოდ სოციალისტურ წიგნაკებით შეიძლებოდეს, მით უფრო ქართულად გამოცემულ წიგნაკებით.

„მომავალი“-ს მწერლებს ალბად გაცნობილი არა აქვთ ქართულ მწერლობის „სიმდიდრე“ რომ ასეთ თამამად ურჩევენ თავიანთ მკითხველებს, მხოლოდ სოციალისტური წიგნაკები წაიკითხეთ.

ეს რჩევა გაფანატიკოსებულ ბერების რჩევას მოგვაგონებს, მხოლოდ სამღთო წერილი და სხვა სასულიერო შინაარსის წიგნები წაიკითხეთო...

როგორც ამ ბერებს ცალმხრივ სწავლით არ შეუძლიათ ხალხში განათლების შეტანა, ისე გაფანატიკოსებულ „ვარსკვლაველებს“ არ ძალუძსთ ნამდვილი ცოდნის შეტანა ხალხში, თუ მხოლოდ სოციალისტური მწერლობით ჰკვებეს საზოგადოება.

ეს ცალმხრივობა სისუსტის ნიშანია. ბერებს კრიტიკულ მსჯელობის შიში აქვთ და ამიტომ მოწინაალმდეგე მწერლებს გაურბიან, „მომავლის“ მეთაურებსაც ეშინიათ თავისუფალი მოაზრე საზოგადოების და ამიტომ უნდათ ცალმხრივი მწერლობით ჰკვებონ იგი.

ეს ცალმხივობა საზოგადოების აბუჩად აგდებას უდრის... ყოველი ადამიანი, რომელსაც უნდა თავის თავს შეგნებული უწოდოს, ვალდებულია შეიგნოს ყოველი ცოდნა, შეიგნოს და არა გაიზეპიროს, უნდა შეიგნოს და საამისოდ უნდა გაეცნოს სხვა და სხვა მიმართულებას, უნდა გაიგონოს მოწინაალმდეგესი ნათქვამიც.

ყოვლად სრული, უნაკლო მიმართულება დღეს დღეობით არც ერთი არ არის, ყოველი ადამიანი თავის შეხედულობის დაგვარად ადგება ამა თუ იმ გზას საერთო კეთილდღეობის მისაღწევად. საჭიროა სხვისი შეხედულება გაიგოს ადამიანმა, საჭიროა მან თავისი სურვილი შეუფარდოს სხვის სურვილს, რადგანაც მხოლოდ ამ გზით შეიძლება საერთო კეთილ-დღეობის დამყარება.

საამისოდ კი საჭიროა ცოდნა, ცოდნა და ცოდნა. ცალმხრივი ცოდნა იგივე უცოდინარობაა, მაგ. სახლის ერთი მხარე რომ შევისწავლოთ ამით სახლს ვერ გავეცნობით, ადამიანს ერთ მხარედან თუ ვუყურეთ, ამით მის სახეს ვერ შევისწავლით.

„მომავლის“ მწერლები ხალხს თუ ურჩევენ სოციალისტურ მწერლობით იკვებონ თავი, ჩვენ ურჩევთ ყველას, სხვა და სხვა მიმართულების მწერლობას გაეცნენ, რადგანაც მხოლოდ ამ გზით შეუძლიათ გაიგონ სიმართლეს და **შეიგნონ** ესა თუ ის მიმართულება.

**თ.**

## რუსეთი

დღე არ გავა ისე, რომ სატახტო გაზეთებში რუსეთში მომხდარ რამე სიგლახის ამბავი არ ამოვიკითხოთ: საშინელი უვიცობა, საყოველთაო ძალმომრეობა, უზნეობა, წარმოუდგენელი სიწამხდრე...

ღ. ლოგოისკში, მინსკის გუბ. ვიღაცა ქალს ქარები ჰქონია. ბევრი უწამლეს, მაგრამ ვერას გახდენ. ერთხელ მისმა ქმარმა ხუმრობით უთხრა, ტყეში ერთი ხრამია. ამ ხრამთან ჯვარია, ასი წლის წინეთ ხალხი ამ ჯვართან ლოცულობდა და იკურნებოდაო. ცოლმაც დაიჯერა, წავიდა ტყეში, ის ჯვარი ნახა, და ღვთის მშობელს ვედრება დაუწყო. რამდენიმე დღის მხურვალე ლოცვის შემდეგ ქალს ღვთის-მშობელი გამოეცხადა და უთხრა, მალე მორჩებიო. მართლაც მალე სულ განიკურნა ეს ქალი. სოფლელებმა მისი განკურნების ამბავი რომ შეიტყვეს, მოაწყდენ ამ „წმინდა“ ადგილს და ზოგმა რა შესაწირავი მოიტანა, ზოგმა კიდევ რა,—ამ შესაწირავს, რასაკვირველია, თავისი პატრონები აღმოუჩრდა,—ხუმრობით ნათქვამმა სიტყვამ ეს ტყე შემოსავლიან ადგილად გახადა...

—

ს. ჩელბასაში, მელიტოპოლის მაზრა, გლეხებმა ქურდები დაიჭირეს და მათი დასჯა განიზრახეს. აქვე ჩაქოლავდენ კიდეც, დაჭერილების ნათესავები რომ არ მოშველებოდენ. მოხდა ჩხუბი, ნათესავებმა გაიმარჯვეს და იქვე კეტებით მოკლეს სამი გლეხი. ოცზე მეტი გლეხი ორივე მხრივ დასახიჩრებულია. ასეთი ამბავი ხშირია, ალბად რუსეთშიაც ხალხს სასამართლოს და ადმინისტრაციის იმედი არა აქვს, რომ მათს გადაწყვეტილებას არ უცდის და თავის ნებით თვითონ იჭერს, სჯის და კლავს ქურდებს. საგულისხმო კიდევ ის არის, რომ ადამიანს რუსის ხალხი ისე ადვილად ჰკლავს თითქო ქათამი იყოს.

—

1897 წელს რუსეთის სატუსაღოებში ერთი მეორეზე ყოველ დღე 77,254 ტუსაღი იჯდა, 1900 წ. 85,857 ტუსაღი, 1903—96,005, 1906—111,403 ტუსაღი და ახლა კი 169,385 ტუსაღია, 1910 წელს კი მთავრობის გამოანგარიშებით 180,000 კაცისათვის არის საჭირო სატუსაღოში მუდმივი ადგილი. კარგი ნუგეშია!

—

სენატორებს კარგი ჯამაგირი აქვთ. კავკაზიის მზრუნველად ნამყოფ ზავადსკის მაგ. 13,000 მანეთი ეძლევა, სხვებს ზოგს 10,000 მანეთი აქვს. სოგს კიდევ 8,000 და ზოგს 7,000 მანეთი. ხოლო 93 სენატორს ჯამაგირად უნდება 753,530 მ.

—

პეტერბუგის უნივერსიტეტში მხოლოდ ის ებრსელები მიიღეს, რომელთაც ოქროს მედლები და სრული ხუთები ჰქონიათ. ვერცხლის მედლიანი მხოლოდ 8 კაცია მიღებული. ესეც თანასწორობა.

—

წელს 100 წელიწადი შესრულდა მას აქეთ, რაც ფინლიანდია შეუერთდა რუსეთს.—ამ შეერთების ოფიციალურ დღესასწაულის გამო ფინლიანდიელებმა პროტესტი გამოაცხადეს. მათ გამოაცხადეს, დღესასწაულს პოლიტიკური ხასიათი არ უნდა მისცემოდა. რუსებს კი უნდოდათ ამ დღეს უთუოდ დაენახვებინათ ფინლანდელებისთვის, ხომ ხედავთ ჩვენ ხელში ხართ, ძალა ჩვენთან არისო. იმას ვდღესასწაულობთ რაც ჩვენი თავისუფლებისათვის სასიამოვნოა.

## პოლონეთში

კრაკოვში „P. P. S. სარევოლიუციო ფრაქციის“ კრება მოხდა. ამ კრებამ თავისი თავი „პოლონელ სოციალისტურ პარტიის“ კრებად გამოაცხადა.

ამ კრებამ რამოდენიმე საგულისხმო რეზოლიუცია გამოიტანა.

კრებამ მაგ. გაარჩია საკითხი, რა გზას უნდა დაადგეს პოლონელი ერი იმ შემთხვევაში, თუ გერმანია ომიანობის დროს პოლონეთს თავზე დაესხა.

ამ საკითხის შესახებ რეზოლიუციას გერმანელების საწინააღმდეგო ხასიათი ეთყობა. კრებამ გადასწყვიტა, პოლონელებმა ბრძოლა გაუწიონ გერმანელებს და ხელი შეუშალონ პოლონელ ტერიტორიის მისაკუთრებაში.

ამნაირად პოლონელი სოციალისტები ეროვნულ ტერიტორიის შესარჩენად პოლიტიკურ ბრძოლის მომხრენი ყოფილან.

—

სახელმწიფო საბჭოში პოლონელების წარმომადგენლად ნამყოფი კორვინ-მილევსკი ისევ უნდა აირჩიონ სახელმწიფო საბჭოს წევრად. კორვინ-მილევსკიმ ამის გამო გაზეთებმა წერილი დაბეჭდა და გამოაცხადა, საბჭოს წევრობას ვიკისრებ მხოლოდ იმ შემთხვევაშიო თუ არ დამავალებთ ყველა საკითხში პოლონელთა კოლოს გადაწყვეტილებას დავემორჩილოვო. „თუ გსურთ, რომ თქვენს წარმომადგენელს შეეძლოს თვითონ გადასწყვიტოს ხოლმე, რა გზას დაადგეს, ვის შეუკავშირდეს, რა პირობით შეუკავშირდეს,— ამირჩიეთ—გემსახურებით, თუ არა ჩემი არჩევით თქვენ ნუ შეწუხდებითო“.

## საზღვარ-გარეთ

### პოლონელები გერმანიაში

წარსულ კვირას პოზნანის სასამართლოში ირჩეოდა ცნობილ პოლონელ მოღვაწის და დეპუტატის გრაფ მელჟინსკის საქმე. 1907 წელს მელჟინსკიმ ერთ საჯარო კრებაზე პრუსიაში შემოღებულ გალახვაზე ილაპარაკა და პრუსიელ მასწავლებლებს „მათრახის რაინდები“ უწოდა. სასამართლოში მელჟინსკი თავს იმართლებდა იმით, რომ „პრუსიელი მოხელეები მხეცურად ექცევიან პოლონელებს, მათ პირუტყვებად სთვლიან და საცხოვრებელ სახლების აშენების ნებასაც კი არ აძლევენ“. სასამართლომ მელჟინსკის 75 მანეთი ჯარიმა დაადო.

—

**მხიარული სიკვდილით დასჯა.**

22 ენკენისთვეს საფრანგეთში ისევე მოხდა სიკვდილით დასჯა. ჯალათს ხელში ჩაუვარდა 3 ავაზაკი.

სიკვდილით დასჯის დღეს ქალაქ ვალენსაში აურებელი ხალხი მოგროვდა. სხვა ქალაქებიდანაც ჩამოვიდენ ზოგიერთები, რათა ენახათ, როგორ მოჰკვეთენ თავს ავაზაკებს. ფანჯრებში და აივნებზე ტევა აღარ იყო. ჩამოსულები ადგილში 40 მანეთს იხდიდენ. სატუსაღოს წინ მთელი ღამე ირეოდა ხალხი, სიცილხარხარი ისმოდა. წვიმა მოვიდა, მაგრამ ხალხი მაინც იქვე რჩებოდა.

ავაზაკები ციხიდან რომ გამოიყვანეს, ხალხი მათ სიმღერებით, თამაშით, შტვენითა და სიცილით შეხვდა. ერთ ავაზაკის საყვარელი ქალი ხალხმა ფხრებზე შეისვა და ისე წაიყვანა იქითკენ, სადაც მისი საყვარელი სიკვდილით უნდა დასჯილიყო.

ასეთი მხიარულობა ერთ ავაზაკსაც ეტყობოდა. გზაში და თვით გელიოტინასთან იგი იცინოდა, ხუმრობდა და თამაშობდა. სამი წლის განმავლობაში ამ ავაზაკებმა 12 კაცი მოკლეს, სამასი ოჯახი გაძარცვეს.

## თე ტრი

**სეირნობა და წარმოდგენა.** სამშაბათს, 15 სექტემბერს ქართულ თავად-აზნაურობის ბაღში გაიმართა სეირნობა, ხოლო საზაფხულო თეატრში კი. წარმოდგენა რუსულად ითამაშეს: „მე მოვკვდი“, სომხურად: „ესეც შენი მოციქულობა“ და ქართულად: „არც აქეთ, არც იქეთ“, დასასრულ გაიმართა საკონცერტო განყოფილება. სამივე პიესამ კარგად ჩაიარა —განსაკუთრებით ქართულმა.

რუსულ პიესაში თავიანთ პატარა როლები კარგად ჩაატარეს: ბ-ნ რაევსკმა და ქ-ნმა ზორინამ.

სომხურში ბ-ნმა ტოროსიანმა ბევრი აცინა დამსწრენი.

ქართულ პიესაში, როგორც ყოველთვის ამ საღამოსაც ჩინებული იყვნენ ვ. აბაშიძე (ტარასი) და ი. ივანიძე (ვარდყინჩაძე).

კარგები იყვნენ აგრეთვე გრიშაშვილი, (საპოჟნიკის ბიჭი), სალაყაია (იორდანე), ზარდიევი (პარასკევა) და იმედაშვილ-ხაშმელი (ჯირჯინაშვილი).

არ შეგვიძლიან არ მოვიხსენიოთ ერთი არა სასურველი შემთხვევა, რომელიც მოხდა საკონცერტო განყოფილების დროს: როდესაც კონცერტში ერთი მონაწილეთაგანი გამოვიდა სცენების წასაკითხად და დაიწყო თუ არა—ამ დროს პარტერის პირველ რიგში მჯდომი ერთი ვაჟბატონი, რომელსაც თავისი თავზე დიდი წარმოდგენა აქვს, და იმ საღამოსაც მონაწილეობდა, დემონსტრატიულად ადგა, „რახრახით“ გავიდა თეატრიდან და წამოიძახა რამდენჯერმე ყვირილით: „ნასტოაშჩი ბალაგან“-ო. ამაზედ, რასაკვირველია, საზოგადოებამ შესაფერი პასუხი გასცა მაგრამ მაინც არ შეშვენის, ასეთი საქციელი ისეთ ადამიანს, რომელსაც თავის თავი არტისტად მოაქვს.

სასაცილოა, სამწუხაროც რომ არ იყოს!

ჩვენის აზრით სრულებით მეტი იყო სცენაზე „ლეკური“ რომელშიდაც თვითონ დიასახლისმა მიიღო მონაწილეობა.

როგორც გავიგეთ 15 სექტემბრის საღამო საქველ-მოქმედო მიზნით იყო გამართული (რომელშიაც არტისტებმა და აგრეთვე სხვა ბევრმა მონაწილემ უსასყიდლოთ მიიღეს მონაწილეობა) ამიტომ სასურველია, რომ ანგარიში გამოქვეყნდეს გაზეთის საშვალებით.

ხალხი ბლომად დაესწრო და ფრიად ნასიამოვნები დაიშალა.

**შალვა შ—ლი.**

რედაქტორ-გამომცემელი
**კ. ხერხეულიძე**

## განცხადებანი




დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ ახალი

**ჩ ა ნ გ ი**

წიგნი დიდი ზომისაა (500 გვერდი). დაკაზმულია ძვირფასი ყდით და ღირს მხოლოდ 1 მ. 30 კ. წიგნში მოთავსებულია სცენები, ლექსები, სასიმღეროდ საოხუნჯო კუპლეტები, დრამატიული თხზულებანი და სხ. ჩვენი საუკეთესო ძველ და ახალგაზდა მწერლებისა. წიგნს ჩართული აქვს ქართველ მწერლების და მსახიობების 60 სურათი. წიგნით მოვაჭრეებს %/% დაეთმობათ. ვინც ფოსტით გამოიწერს და 1 მან. 30 კაპ. ფულათ ან მარკას გამოგზანის მას გასაგზავნი ფული აღარ გადახდება.

**ადრესი:** Тифлисъ. т-во Сорапань. М. Гачечиладзе.

ЯAND PЯIX

1870 წ. პარიზი 1900 წ. 1882 წ.

1865 წ. დედამიწაზე საუკეთესო 1896 წ.

# კალოშები

სამ კუთხედით

1860. Т.Р.А.Р.М. С.ПЕТЕРБУРГЪ.

რუსეთ-ამერიკის სარეზინო მანუფაქტურის ამხანაგობა

ამ ფირმით „ТРЕУГОЛЬНИКЪ“

ს.-პეტერბურგში

სრული პასუხის-მგებლობა საქონლის სიკ:რგისა.

იყიდება ყველგან

ელქტრო-მბეჭდავი ამხ. „სორაპანი“ მადათოს კუნძული № 1. ტელეფონი № 539.